



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №126

2013 წლის 23 აგვისტო

ქალაქი ხაშური



„ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 1 მაისის №76 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის N162 განკარგულებით და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №201 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2011 და 2012 წლებში აუთვისებელი სახსრების ნაშთის ფარგლებში, თვითმმართველის ერთეულის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე შედგენილი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური (ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება და სხვა) პროექტის ნუსხაში და დანართი N1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით;
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების მიზნით უზრუნველყოს ყველა საჭირო ღონისძიებების გატარება;
3. განაკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონის შესაბამისად;
5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

ტერიტორიული ორგანიზების დასახელება	სოფელი დაბა	2011 წელში გამოყოფილი სახსრების ნაშთი	2012 წელში გამოყოფილი სახსრების ნაშთი	პროექტის დასახელება	პროექტის ჯამური ღირებულება	პროექტის ღირებულება
1	2	3	4	5	6	7
დაბა სურამი	დაბა სურამი	1 171,98	39 451,11	სკვერის კეთილმოწყობა	40 623,09	5 736,98
				გარე განათების სისტემების მოწყობა		21 455,28
				ყოფილი აბანოს შენობის ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდა		1 000,00
				დაზიანებული საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია		10 630,83
				ნაგვის ურნების შესყიდვა		1 800,00
ხცისი	ხცისი	6 087,58	14 936,00	წყალსადენის რეაბილიტაცია	21 023,58	21 023,58
	მიწობი	11 778,85	9 624,00	სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა და 2000 მ-ზე არსებულ რეზერვუარზე მიერთება	21 402,85	21 402,85
	კრისხევი	1,89	374,16	სოფლის სასაფლაოს შემოღობვა	376,05	376,05
ცხრაშუხა	თაგვეთი	1,48	5 370,00	წყლის მილის გამოცვლა	5 371,48	5 371,48
ალი	ბრილი	0,00	2 389,69	სოფლის სასაფლაოს შემოღობვა	2 389,69	2 389,69
	ქინძათი	0,00	1 746,22	სოფლის შიდა გზის მოხრეშვის მიზნით ხრემის შესყიდვა	1 746,22	1 746,22
	ზემო აძვისი	0,00	1 056,22	სასმელი წყაროების მოწყობა	1 056,22	1 056,22
ოსიაური	ზემო ოსიაური	0,76	10324,19	გარე განათების სისტემების მოწყობა	10 324,95	3 209,13
				სოფლის სასაფლაოს შემოღობვის მიზნით მასალების შესყიდვა		7 115,82
	ქვემო ოსიაური	0,00	8111,56	გარე განათების სისტემების მოწყობა	8 111,56	3 662,16
				დასასვენებელი სკვერის მოწყობის მიზნით ატრაქციონების და მასალების შესყიდვა		4 449,40
ახალსოფელი	806,55	3,34	სარწყავი მილების შესყიდვა	809,89	809,89	
<b>სულ</b>		<b>19 849,09</b>	<b>93 386,49</b>		<b>113 235,58</b>	<b>113 235,58</b>